## კალათბურთი

# ტტტ—პირველი

მთელი რიგი წარუმატებლობის შემდეგ მეცხრე ტურში ბოლოსდაბოლოს, გამარჯვება მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა. მან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ვილნიუსის „კიბირკშტისი" — 69:61. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა გუნდმა წააგო მატჩის პირველი ნახევარი ექვსი ქულით — 28:34.

მეათე ტურში კვლავ წარმატებას მიაღწია პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა. როსტოვის „ბურევესტნიკთან" შეხვედრის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ — 31:31. შესვენების შემდეგ თბილისელმა სპორტსმენებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და მოიპოვეს გამარჯვება — 66:58.

გათამაშების ლიდერმა, რიგის ტტტ-მ და ლენინგრადის სკა-მ მოიპოვეს მორიგი გამარჯვებები. პირველმა დაამარცხა როსტოვის „ბურევესტნიკი" ანგარიშით 74:40, ხოლო მეორემ — მოსკოვის „დინამო" — 83:65.

მეათე ტურში გაიმართა შეჯიბრების ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა რიგის ტტტ-სა და ლენინგრადის სკა-ს გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლატვიელმა კალათბურთელებმა. უკანასკნელ ტურში ტტტ-ს გუნდმა მოუგო შეხვედრა ტარტუს უნივერსიტეტის კოლექტივს — 59:43 და გათამაშების ცხრილში გაინაღდა პირველი ადგილი.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების შედეგები. „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი)-„ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — 58:54, უსკა (ტარტუ)-„პოლიტექნიკი" (კაუნასი) — 47:42, „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)-„სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — 53:33, „პოლიტექნიკი" (კაუნასი)-„ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — 57:44, „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი)-„სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) — 57:40, უსკა (ტარტუ)-„დინამო" (მოსკოვი) — 49:42.

* * *

გუშინ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა კალათბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრების მორიგი კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ თბილისის „დინამო" და გათამაშების ლიდერი კიევის „სტროიტელი".

შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა დამარცხებით — 68:82.





# ოცნება

მარტმა გაალო თბილისის კარი,
ნისლის მარმაში ბურავს მზეს —
მნათობს,
ხან თავაწყვეტით ნავარდობს ქარი,
ხან მზე იცინის...
ხან წვიმს და...
ხან თოვს.

მე მინდა იდგეს ამინდი თბილი
ისეთი, როგორც ზაფხულში შარშან,
და ტანზე კაბად საყვარელ
თბილისს —
ემოსოს მწვანე ფოთლების ფარჩა.

რადგან ლოდინით გატანჯულ
გულებს
მოჰკიდებია ცეცხლის გენია,
და დიდ ფეხბურთის დიდ
მოყვარულებს
ერთ ადგილზე ვერ მოუსვენიათ.

გულს რომ სიამის გრძნობა მოედვას,
ნატრობენ: როდის მოვა აპრილი,
რომ კვლავ ეწვიონ მწვანე მოედანს
და სიხარული იგრძნონ ნამდვილი.

რომ კვლავ გაისმას სპორტული
მარში,
ხალხის ხმაურმა შრაქმეს ნტადიონს
და განახლება ბურთის თამაშის
ქვეყნიერებას ამცნოს რადიომ.

ოცნებავ, ფიქრთა ლაღად მთოვარო,
ო, როგორ მინდა, გრძნობებით
სავსეს,
რომ მე ბავშვივით აღმაფრთოვანოს
თამაშის ეშხმა და სილამაზემ.

ზუსტად მოთავსდეს მეტოქის კარში
დინამოელთა დარტყმული ბურთი,
მიწას არყევდეს გრიალი ტაშის
და ცას ფარავდეს მტრედების
გუნდი.

ასე ვოცნებობ... ოცნება მარდი
ჩემს თვალწინ წარმტაც სურათებს
ხატავს,
თუმც ჯერ თბილისში ბობოქრობს
მარტი
და მისი სუსხი ძვალ-რბილში ატანს.

მ. ზანგურაშვილი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

24 მარტი

კვირა, 1963 წ.

№ 59 (2164)

გამოცემის მე-19 წელი.

ფასი 3 კაპ.


# შეჯიბრება ერთ კვირას გასტანს

მურმანსკში დაიწყო სსრ კავშირის პირადი პირველობა სათხილამურო რბენასა და ბიატლონში. ამ შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს არა მარტო ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონები, არამედ საკავშირო ნაკრების ის კანდიდატებიც, რომლებიც მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებენ ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში.

პირველობა გახსნეს 30 კილომეტრზე მორბენალმა ვაჟებმა. აქ გამარჯვებისათვის იბრძოდნენ როგორც პროფკავშირთა ზამთრის V საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებულნი, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა საუკეთესო მოთხილამურენიც. პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ი. უტრობინი, პ. კოლჩინი, ე. რუდკოვსკი, ი. ანისიმოვი, ი. ვაგანოვი. ძნელმა ტრასამ საგრძნობლად იმოქმედა მონაწილეთა მაჩვენებლებზე და როცა ი. უტრობინმა დისტანცია დაამთავრა 1:56.57 საათში, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ვარაუდი ამჯერად არ გამართლდა. ი. უტრობინი ამ შედეგით მხოლოდ მეოთხე ადგილზე გამოვიდა, ვინაიდან შეჯიბრების დამთავრების შემდეგ პ. კოლჩინს („დინამო", მოსკოვი) 55 წამით უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა. ეს იყო პ. კოლჩინის მეხუთე ოქროს მედალი საკავშირო პირველობაზე. კოლჩინს 32 წამით ჩამორჩა მოსკოველი ე. რუდკოვსკი („სპარტაკი") — 1:56.34.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ა. გავრილიუკი.

# 18-გრადუსიან ყინვაში

22 მარტს საკმაოდ ციოდა ლენინგრადში — ტემპერატურა მინუს 18 გრადუსამდე დავიდა. მიუხედავად ამისა, მძლეოსანთა ზამთრის საკავშირო პირველობის კალენდარში მსაჯთა კოლეგიას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია და სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა 22 გუნდის 800 სპორტსმენი ბრძოლაში ჩაება.

შუბის ტყორცნაში ქალთა შორის კვლავ მიუღწეველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ე. ოზოლინა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა შედეგით 53 მეტრი 56 სანტიმეტრი.

ვაჟთა შორის მაღალი შედეგი არავის უჩვენებია. გამარჯვება მოიპოვა ე. საბლოვსკიმ, რომელმაც შუბი ტყორცნა 70 მ 85 სმ-ზე. უროს ტყორცნაში უძლიერესი იყო ვ. რუდენკოვი — 62.57 მ.

10 კმ სპორტული სიარული მოიგო ლიტველმა ვ. ჟურნიამ — 43.12,4. ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში 12-მა სპორტსმენმა დაძლია 160 სმ სიმაღლე, უძლიერესმა ტ. ჩენჩიკმა აჩვენა 170 სმ. აქ მეორე იყო გ. დოლია — 165 სმ.

# დიდი მატჩის პირველი პარტია

**გუშინ, მოსკოვში, ესტრადის თეატრის დარბაზში დაიწყო საჭადრაკო ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი შეჯიბრება— მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობაზე ამ წოდების მფლობელ გროსმაისტერ მიხეილ ბოტვინიკსა და პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ მოსკოველ გროსმაისტერს — ტიგრან პეტროსიანს შორის.**

**პირველ პარტიას თეთრებით თამაშობდა ტ. პეტროსიანი. ეს პარტია გაგრძელდა 41-ე სვლამდე, როცა თეთრებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა. გაიმარჯვა ბოტვინიკმა, მატჩის ანგარიში გაიხსნა — 1:0.**



# პრაღის საგზურისათვის

მოსკოვში გაიმართა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა შესარჩევი ტურნირი. ერთეულთა შეხვედრებში დიდი წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები 16 წლის ზ. რუდნოვა და მისი თანატოლი ა. ემელინი. მათ შეჯიბრება დაუმარცხებლად დაამთავრეს და პირველი ადგილები დაისაკუთრეს. უახლოეს დღეებში შედგება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომელიც 2 აპრილს პრაღაში გაემგზავრება მსოფლიოს XXIV პირველობაში მონაწილეობის მისაღებად.

**სურათზე:** ზ. ბერიაშვილი წმინდად ამარცხებს ბულგარელ მარინოვს (საერთაშორისო შეჯიბრების ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# საქართველოს 1963 წლის საჭადრაკო პირველობის საბოლოო ცხრილი

| მონაწილენი | № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ. შიშოვი | 1 | ■ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 0 | 0 | ½ | 11½ | V |
| თ. ლომაია | 2 | 0 | ■ | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | 10½ | — |
| ა. ბუსლაევი | 3 | 1 | ½ | ■ | 0 | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | 1 | 10½ | — |
| რ. ჯინჯიხაშვილი | 4 | 0 | 1 | 1 | ■ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 12 | II-IV |
| ა. ბლაგიძე | 5 | 0 | ½ | 0 | 0 | ■ | ½ | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | 1 | ½ | 8 | — |
| ი. ჩიქოვანი | 6 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ■ | 1 | 1 | 0 | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | 10 | — |
| ი. ვეტოხინი | 7 | ½ | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | ■ | 1 | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | 8½ | — |
| ა. კირვალიძე (გაგრა) | 8 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | ■ | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 3½ | — |
| ბ. არნშტეინი | 9 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | ■ | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 10½ | — |
| თ. კიკიანი | 10 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | ■ | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 12 | II-IV |
| დ. ჯანოევი | 11 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 0 | ½ | ½ | ■ | 1 | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 | 0 | ½ | 9 | — |
| ჯ. ბერაძე (წყალტუბო) | 12 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 0 | ½ | 0 | ■ | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | 9 | — |
| გ. კალატოზიშვილი | 13 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | ½ | ■ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | 10½ | — |
| ა. იზვოზჩიკოვი | 14 | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ■ | 1 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 6 | — |
| ე. მიქაელიანი | 15 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ■ | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 8 | — |
| თ. გიორგაძე (ქუთაისი) | 16 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ■ | ½ | ½ | 0 | 0 | 6½ | — |
| ნ. გაფრინდაშვილი | 17 | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | ■ | ½ | ½ | 1 | 11 | — |
| ბ. გურგენიძე | 18 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | ■ | ½ | ½ | 14½ | I |
| მ. თხელიძე | 19 | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | ■ | 1 | 12 | II-IV |
| გ. პანტურია (ბათუმი) | 20 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | ■ | 6½ | |

# დასკვნითი აკორდი

**საქართველოს 1963 წლის პირველობა ჭადრაკში**

✦

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი მოჭადრაკის ვინაობა უკვე ყველასათვის ცნობილი იყო, ბრძოლა პირველობის დასკვნით, XIX ტურში, მაინც არ დამცხრალა. მან ბევრი მოულოდნელობაც მოიტანა. პირველ რიგში ეს შეეხება ბრძოლას მეორე ადგილისათვის, რომელიც, ისე როგორც პირველი, იძლევა საბჭოთა კავშირის XXXI ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას. ამ ადგილზე ყველაზე რეალური შანსები გააჩნდა 19 წლის ჯინჯიხაშვილს და შემდეგ შიშოვს, თხელიძეს, კიკიანსა და გაფრინდაშვილს.

ჯინჯიხაშვილი შეხვდა ქუთაისელ გიორგაძეს. პარტიის დასაწყისშივე ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. თბილისელმა დაუშვა მეტოქის კომბინაცია და მატერიალური დანაკლისი განიცადა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გიორგაძეს თამაში დაბოლოებაში გადაეყვანა და იქ მოეხდინა უპირატესობის რეალიზება. 37-ე სვლაზე ჯინჯიხაშვილი დანებდა. ამასობაში კიკიანი ენერგიულად უტევდა პანტურიას პოზიციას. ფიგურის დაკარგვის გამო 21-ე სვლაზე პანტურიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ყველაზე ძნელი მეტოქე შეხვდა გაფრინდაშვილს — ოსტატი ბუსლაევი. მაგრამ [illegible] მოჭადრაკე ქალის თამაში. მან დებიუტში პაიკი შეწირა და ხელთ იგდო ინიციატივა. ბუსლაევი შეუპოვრად იცავდა თავს და თანდათანობით გაამარტივა ბრძოლა. გაფრინდაშვილმა ამ დროს მცდარი კომბინაცია წამოიწყო, ბუსლაევმა ადვილად უკუაგდო იგი და ხელმეტი ხარისხით მოიგო პარტია.

თხელიძე - შიშოვის პარტიაში ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. თხელიძემ ვერ გამოიყენა ოსტატის სისუსტეები მეფის ფრთაზე, ნაკლებ ენერგიულად უტევდა და შიშოვს საშუალება მისცა თვითონ დაუფლებოდა ინიციატივას. მაგრამ იერიშის წარმართვაში მას ხელს უშლიდა ცაიტნოტი, რომლის გამოც რამდენიმე მძიმე შეცდომა დაუშვა. პარტია გადაიდო. გუშინ თამაშის განუახლებლად შიშოვი დანებდა.

საქართველოს ჩემპიონს გურგენიძეს, რომელიც ლომაიას შეხვდა, ჩვეული ენერგიით მიჰყავდა პარტია. ლომაიამ ვერ მონახა თამაშის სწორი გეგმა, დაკარგა პაიკი და მთელი პარტიის მანძილზე თავს იცავდა. ბოლოს მან კუს შეწირვით განიზრახა მეფეზე იერიშის მიტანა, მაგრამ გურგენიძემ ადვილად უკუაგდო მისი ჩანაფიქრი და მოიგო პარტია.

თუ ვინ როგორ ითამაშა, როგორ გაიარა ტურნირის „მარათონული" დისტანცია, ადვილად ამოიკითხება აქვე მოყვანილი პირველობის ცხრილიდან.

**თ. გიორგაძე**

# მარტო წერის სურვილი არ კმარა

არის კატეგორია ადამიანებისა, რომელთა ცოდნაც სპორტში მხოლოდ სტადიონზე ჩატარებული მატჩის ნახვით ამოიწურება. ამის გამო არც არავინ ედავება მათ — სავალდებულო როდია ყველა დეტალურად იცნობდეს სპორტს! მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთნი ეურდნობიან რა მხოლოდ ასეთ ცოდნას, ხელს ჰკიდებენ სპორტულ თემას და თავიანთი „ნაწარმოებებით" სპორტული მოძრაობისათვის დამახასიათებელი ურთულესი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობენ.

ცხადია, ასეთი უსაფუძვლო პრეტენზიის ავტორები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან. მათს რიცხვს, სამწუხაროდ, მიემატა ახალგაზრდა მწერალი რეზო ჭეიშვილი, რომლის პირველ წიგნში „ბზიანეთი" ჩართულია მოთხრობა „ჩემპიონი".

ავტორს სადღაც მოუკრავს ყური, რომ სიმძიმეების აწევა ხელს უშლის შტანგისტების ტანის ზრდას და მოთხრობის ლეიტმოტივად სწორედ ეს ყალბი აზრი აუღია. „როდესაც ჩემპიონს უთხრეს, — წერს ავტორი, — რკინების ქვეშ არ იზრდებიო, არაფრად ჩააგდო. ხოლო უფრო გვიან, როცა თვითონაც მიხვდა, რომ არ იზრდებოდა, ხელი ჩაიქნია. ახლა თმებმა დაუწყო ცვენა. იგრძნო, ესეც შტანგის ბრალი იყო. ჩემპიონი სერიოზულად დაფიქრდა:

— ეს მეტისმეტია... შევეწირო ბიოლოგიურად სპორტს?.."

არაფერს ვამბობთ ავტორის ახალ ბიოლოგიურ აღმოჩენაზე—შტანგის ზეგავლენით თმის ცვენის შესახებ, მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ მეორე გარემოებას: ბიოლოგიურ და სხვა მონათესავე მეცნიერებებს ათეული წლები დასჭირდათ, რომ მეცნიერული კვლევით გაექარწყლებინათ ყალბი აზრი, თითქოს ძალოსნობა ხელს უშლის ადამიანის ზრდას. მეცნიერთა ამ მტკიცებას ხელს უწყობდა ცოცხალი ფაქტებიც: ვინ არ ინატრებდა შტანგისტების ი. ქართველიშვილის, კ. ბაზაძის, გ. სანიკიძის, ი. ვლასოვის, ა. კურინოვის, ტ. კონოს, ე. შემანსკის, ბ. მარჩისა და სხვა მრავალთა გარეგნობასა და ახოვნებას! ფაქტია, რომ ახოვნების კონკურსში გამარჯვებულთა აბსოლუტური უმრავლესობა მთლიანად შტანგისტებია.

არ შეიძლება თვალში არ გვეცეს მოთხრობაში ხაზგასმული მეორე გარემოებაც: მასში სპორტსმენები ისე არიან დახატული, რომ ისინი, რბილად რომ ვთქვათ, არანორმალურ ადამიანთა შთაბეჭდილებას ტოვებენ: ჩემპიონს „ქვასავით მაგარი თავი" აქვს; ალბათ, ამ „სქელი კანის" გამო ვერ ამჩნევს იგი, რომ ამხანაგებმა ხუმრობით თხუთმეტი კილოგრამი რკინა ჩაულაგეს ლაბადაში, ის კი არხეინად განაგრძობს გზას; ამ სპორტსმენს „ერთი-ორჯერ კინაღამ დაეძინა ასორმოცკილოგრამიანი შტანგის ქვეშ" (მართლაც, რამდენად არანორმალური ფლეგმატურობაა!); გაივლის შტანგისტი ქუჩაში და „ტროლეიბუსებს შორის კიდევ უფრო ჩიავდება", შემდეგ ავტორს შევყავართ სტადიონზე, სადაც გვახვედრებს სპორტსმენთან, „რომელსაც ყველაზე დიდი თავი აქვს", მეორე სპორტსმენს კი „აქვს ლოყები შევარდნილი და ყბები გამოწეული", ერთ-ერთი ჰიგიენას შეყვარებული სპორტსმენი „მაისურის სახელოთი დიდხანს იწმენდს ცრემლებს", აკვირდებით მოთხრობის გმირთა პორტრეტებს და სამართლიანად ფიქრობთ: ამ მოთხრობის წამკითხავი რომელი ჭკუათმყოფელი მშობელი გაუშვებს თავის ბავშვს სავარჯიშოდ ძალოსნობაში? ხომ შეიძლება მისი ბავშვიც მოთხრობის გმირებივით ჯუჯად, დიდთავიანად და მახინჯად იქცეს?

მოთხრობაში „ჩემპიონი" ავტორი ავლენს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სრულ უცოდინარობას. მან არ იცის, რომ ძალოსნები არც ხუმრობით და არც სერიოზულად შტანგის მრგვალ რკინებს მჭადებს არ უწოდებენ, მათ თეფშები ჰქვია. ჩემპიონს ხუმრობით ორი შვიდნახევარკილოგრამიანი თეფში ჩაულაგეს მეგობრებმა ლაბადის სარჩულში; ამ წონის თეფშები კი ძალოსნობაში, საერთოდ არ არსებობს. ავტორი ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან ჩემპიონსა და რეკორდსმენს (15 კილოგრამი მაკლია, რომ ჩემპიონი გავხდეო, — ეუბნება დედას მოთხრობის გმირი). მოთხრობის ერთ-ერთ თავს ეწოდება „ფიზალზრდა". კითხულობ ამ თავს და ეჭვი გეპარება, იცის თუ არა ავტორმა ამ სიტყვის შინაარსი (თავში ლაპარაკია ისევ მეგობრების ხუმრობაზე, აღწერილია ვარჯიში შტანგაში, და სპორტის ამ სახეობის შეძულება). ავტორის მიხედვით თამასას თურმე თასმა ჰქვია, ჭოკით მხტომელი „მეჭოკეა" და ა. შ.

აი, სადამდე მივყავართ წერის სურვილს თემის უცოდინარობის პირობებში.

**მ. ჟღენტი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**
**ა. ციბაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მომზადების ფაკულტეტის დეკანი.**



სიგრძეზე ხტომაში ჩვენს რესპუბლიკაში უძლიერესად ითვლება სპორტის ოსტატი ლ. იევლევა, რომელსაც არაერთხელ უსახელებია თავი საკავშირო სარბიელზეც. იგი პირველი იყო თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონის თასზე გამართულ სიგრძეზე მხტომელთა შეჯიბრებაშიც.

**სურათზე:** ლ. იევლევა ხტომის დროს.

# სტადიონის თასზე

მძლეოსნობაში „ბურევესტნიკის" სტადიონის თასის გათამაშების მეორე დღეს ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში სტარტზე გამოსული ორი სპორტსმენიდან მხოლოდ ტ. მატიუშს (ფიზკულტურის ინსტიტუტი) დაუფასდა შრომა. მან აჩვენა 2.48,6 და გუნდს 9 ქულა მისცა, უნივერსიტეტის სტუდენტმა დ. ხუბალიშვილმა კი ამაოდ ირბინა სტადიონის ორი წრე.

ქულებისათვის ბრძოლის სიმწვავე განაპირობა იმან, რომ ჩათვლაში შედიოდა საქართველოს ნაკრების კანდიდატთა შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგების შესაბამისი ქულები. მართალია, ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში უძლიერესმა მ. პატარაიამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) დაძლია 6.55 მ და პირველი ადგილი მოიპოვა, მაგრამ ყველაზე მეტი ქულა მაინც უნივერსიტეტის გუნდმა მიიღო, რადგან კანდიდატთა შეჯიბრებაზე ამ გუნდის წევრმა რ. ჭოჩაკიძემ აჩვენა 7.29 მ.

მეორე დღეს მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა, რომლებმაც პროგრამის 12 სახეობიდან 6-ში გაიმარჯვეს.



ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილ-ის) ინიციატივით მოწყობილ ტურნირს სხვა შეჯიბრებებთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს. იგი ატარებს პირად ხასიათს და სწორედ ამიტომ ბრძოლები ყოველ წონით კატეგორიაში პირველსავე წრიდან უაღრესად დაძაბულ ფორმებს იღებს.

გახსნის დღეს ჩატარებული 19 შეხვედრიდან მხოლოდ 5 დამთავრდა წმინდა გამარჯვებით და ერთი აშკარა უპირატესობით. დანარჩენ ბრძოლებში ფიქსირებულ იქნა ერთ-ერთი მხარის მინიმალური უპირატესობა.

მაგალითად, უმჩატეს წონაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სამედოვმა ერთქულიანი უპირატესობით მოუგო ბულგარელ იორდანოვს. ასეთივე უპირატესობით სძლია ალბარიანმა — აბდუქამიროვს (ორივე საბჭოთა კავშირი). ამ წონით კატეგორიაში მხოლოდ ირანელმა ხუდობადიმ მოიპოვა წმინდა გამარჯვება. რუმინელმა ტაპალაგამ მეხუთე წუთზე შეწყვიტა წინააღმდეგობა.

კიდევ უფრო მძაფრი გამოდგა შეხვედრები მჩატე წონაში. ზ. შეყრილაძემ, რომელიც ამჟამად ვერ არის საუკეთესო ფორმაში, ძნელი გამარჯვება მოიპოვა მუშელიანზე. ქართველ მოჭიდავეს ამ წარმატებაში დაეხმარა გამოცდილება და სწორი ტაქტიკა. ზ. შეყრილაძის ძმამ, აზურიმ წააგო ბრძოლა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავე იბრაგიმოვთან. დამარცხება განიცადა ამ წონაში კეველიშვილმაც. მისი მოწინააღმდეგე ჯამილოვი ფიზიკურად და ტაქტიკურად გაცილებით ძლიერი იყო. ირანის გუნდის წევრი ბაბაულადი ამ დღეს ისვენებდა.

ქვემსუბუქი წონის პირველი წყვილი (მარიდაშვილი-მარტყოფლიშვილი) სამართლიანად იქნა მოხსნილი მსაჯთა კოლეგიის მიერ. მოჭიდავეები დაისაჯნენ არა მხოლოდ პასიური ჭიდაობისათვის, არამედ იმის გამოც, რომ მათ არ უფიქრიათ ბრძოლის გამწვავებაზე, რაიმე აქტიურობაზე. ჩვენის აზრით, საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა საპატიო უფლებაა და სპორტსმენებმა აქ უნდა სცადონ ყველა შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენა.

მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის, ფინელი იასკარის შეხვედრა იაბლოკოვთან (სსრკ) სანახაობრივი თვალსაზრისით არ იყო ლამაზი. ფინელმა მხოლოდ ორჯერ გადაიყვანა მეტოქე ჩოქბჯენში და ამით მოიპოვა გამარჯვება. მაგრამ ბრძოლა უაღრესად დაძაბულ ფორმებში ვითარდებოდა. მარტყოფლიშვილ-მარიდაშვილის ორთაბრძოლისაგან განსხვავებით, აქ ჩანდა, რომ მოწინააღმდეგეებმა ამოწურეს ბოლომდე თავიანთი შესაძლებლობანი, მაგრამ გამოსავალი არ იყო. ძალები თანაბარი გამოდგა.

მსოფლიო ჩემპიონი მჩატე წონაში ირანელი სეიფური ამჯერად ქვემსუბუქ წონაში გამოდიოდა. ამის მიუხედავად მან აგრესიულად ჩაატარა შეხვედრა გერმანელ კრაუზსთან და მოიპოვა გამარჯვება აშკარა უპირატესობით (9 ქულით). ქარსაულიძემ ქულებით სძლია გერმანელ კლიუშნიკს.

მსუბუქ წონაში აქ უდავოდ საუკეთესო ბრძოლა ბერიაშვილის შეხვედრა იყო ბულგარელ მარინოვთან. ფიზიკურად ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ბერიაშვილმა მისთვის ჩვეული ტემპიანი ბრძოლა გამოიყენა. მან ორჯერ გადაიყვანა ბულგარელი ჩოქბჯენში, მაგრამ ეს უკანასკნელი ორჯერ დაძვრა სახიფათო მდგომარეობიდან, მესამედ კი მარინოვმა ველარ დააღწია თავი ბერიაშვილის მარწუხებს. მე-5 წუთზე ბულგარელმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე კოშკაძემ კარაპეტიანთან (მე-9 წუთზე) და ბესტაევმა — კორძაძესთან (10 წუთსა და 11 წამში). ირანელმა მოვაჰედმა ქულებით დაამარცხა ჯოგლიძე.

მონაწილეთა ყველაზე დიდი რაოდენობაა თავმოყრილი ქვესაშუალო წონაში. აქ პირველობისათვის 11 მოჭიდავე იბრძვის. საერთო ყურადღება გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის (მსუბუქ წონაში) ირანელი სანატკარანის გამოსვლამ დაელიანიძესთან. ირანელმა, დიდი მოტივ[illegible]ების მიუხედავად, [illegible] ვერ ჩაუტარა საბჭოთა მოჭიდავეს. მან 4-ჯერ გადაიყვანა მეტოქე ჩოქბჯენში, რამაც 4 მომგებიანი ქულა მისცა. ეს კი საკმარისი იყო გამარჯვებისათვის.

სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ჩაატარა თავისი ბრძოლა სალარაძემ ფინელ რანტანენთან. ეს უკანასკნელი დიდხანს გაურბოდა საბჭოთა მოჭიდავეს და ცდილობდა თავი დაეღწია წმინდა დამარცხებისათვის, მაგრამ სალარაძემ მეტად ეფექტურად დაიჭირა იგი ხიდურზე და მე-9 წუთზე წმინდა გამარჯვებას მიაღწია. უნდა ითქვას, რომ პირველი დღის ბრძოლებიდან საუკეთესო იყო სწორედ მისი და ბერიაშვილის გამარჯვება.

შეჯიბრება ხვალ დამთავრდება...

**ნ. ახვლედიანი**

* * *

სურათებზე: (ზევით) შეჯიბრების მონაწილეთა აღლუმი. (ქვევით, მარ[illegible]ნივ) სალარაძე-რანტანენის შეხვედრის მომენტი; (მარჯვნივ) გერმანელი კრაუზი გაურბის სეიფურს.

# სარბიელზე—საუკეთესონი





# მოზარდ ფეხბურთელთა ტურნირი

„ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოზარდთა გუნდების ტურნირი ტრადიციად იქცა. ეს შეჯიბრება მოეწყობა წელსაც.

ტურნირი ჩატარდება 3 ეტაპად. პირველი ეტაპი — ესაა წინასწარი თამაშები, მეორე ეტაპი — ნახევარფინალი, ხოლო დასკვნით, მესამე ეტაპზე გაიმართება ფინალური მატჩები.

პირველი ეტაპის გათამაშებას აწყობენ შესაბამისი რესპუბლიკების ფეხბურთის ფედერაციები არსებული პირობების გათვალისწინებით, მაგრამ აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ თვითეულმა გუნდმა ჩაატაროს სულ ცოტა 5 თამაში. მოზარდთა გუნდების თამაშები უნდა ჩატარდეს იმავე მინდვრებზე, სადაც თამაშობენ ოსტატები. გათამაშება უნდა დამთავრდეს 15 ივლისისათვის.

21-31 ივლისს ჩატარდება მეორე ეტაპის მატჩები, სადაც მონაწილეობენ წინასწარ თამაშებში გამარჯვებული გუნდები. 36 ასეთი გუნდი ქმნის 6 ქვეჯგუფს. აქ გუნდების წარმომადგენლობა განსაზღვრულია შემდეგნაირად: რსფსრ — 16 გუნდი, უკრაინა — 9, ბელორუსია, საქართველო — 2-2, აზერბაიჯანი, სომხეთი — თითო გუნდი. დანარჩენ გუნდებს წარმოადგენენ შუააზიისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები.

გათამაშების ფინალი გაიმართება 18-28 აგვისტოს ნახევარფინალურ ქვეჯგუფებში გამარჯვებულ გუნდებს შორის. ადგილების განაწილება გათამაშების ყველა ეტაპზე მოხდება დაგროვილი ქულების მიხედვით. მატჩის ხანგრძლიობა უდრის 80 წუთს, 10-წუთიანი შესვენებით ტაიმებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის დაიშვებიან 1945-46 წლებში დაბადებული ფეხბურთელები, რომლებიც მეცადინეობენ ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოსამზადებელ ჯგუფებში. თვითეულ გუნდში არ უნდა იყოს 1946 წელს დაბადებულ 6 მოთამაშეზე მეტი. გათამაშებაში არ დაიშვებიან ფეხბურთელები, რომლებსაც არა აქვთ საშუალო განათლება ან ამჟამად არ სწავლობენ.

ფინალურ ტურნირში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი პრიზით. გუნდი, რომლის მოთამაშეები საუკეთესო ტექნიკურ მომზადებას გამოავლენენ, დაჯილდოვდებიან ყოველკვირეულ გაზეთ „ფუტბოლის" თასით, ხოლო გუნდს, რომელსაც გათამაშების ყველა ეტაპზე ექნება წესრიგის ნაკლები დარღვევა, გადაეცემა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჯილდო.

გარდა ამისა, დანიშნულია კიდევ 2 პრიზი გუნდისათვის, რომელიც ფინალში აჩვენებს საუკეთესო ტექნიკურ მომზადებას და გუნდისათვის, რომელსაც ფინალში ექნება ყველაზე მეტი გამარჯვება დიდი ანგარიშით. ეს პრიზები დააწესეს სარატოვისა და კრემენჩუგის სპორტკავშირების საბჭოებმა.

## გუნდური პირველობა

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. პირადი პირველობისათვის იბრძოდა 20 მოჭადრაკე. ტურნირში I-III ადგილები გაიყვეს ქ. გოგიავამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კობახიძემ და ს. რუსიამ. დამატებით მატჩ-ტურნირში გაიმარჯვა ქ. გოგიავამ, რომელმაც კიდეც მოიპოვა ხელოვნების მუშაკთა სახლის ჩემპიონის სახელი.

გუნდურ პირველობაში ჩაბმული იყო ექვსი გუნდი. თვითეულ გუნდში შედიოდა 4 კაცი და 1 ქალი. ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის გუნდმა. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა მოკრივე სპორტის ოსტატი ბ. კალაძე. აღსანიშნავია, რომ ამ გუნდის წევრმა გოგონამ ლ. კუზნეცოვამ ყველა (ექვსი) პარტია მოიგო. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს სამხატვრო აკადემიის გუნდი.

**ი. თორდია**

# „დიდი ფეხბურთის" დღე ევროპაში

31 მარტი „დიდი ფეხბურთის" დღეა დასავლეთ ევროპაში. ამ დღეს მთავრდება ევროპის თასის პირველი წრის გათამაშება. მეორე წრეში მონაწილეობის უფლება უკვე აქვთ საბჭოთა კავშირის (როგორც თასის მფლობელს), ავსტრიის, ლუქსემბურგის (კენჭისყრის თანახმად), შვეციის, დანიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ესპანეთის, ირლანდიის, ჩრდ. ირლანდიის, ალბანეთისა და ბულგარეთის გუნდებს. მეორე წრის (ანუ მერვედფინალის) კიდევ 4 მონაწილე სწორედ მომავალ კვირას უნდა გამოვლინდეს.

ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს მატჩ-რევანში პრაღაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. მათი პირველი შეხვედრა ბერლინში დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით ანგარიშით 2:1, მიუხედავად ამისა, დღეისათვის მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ჩეხებმა უნდა შეძლონ მეტოქის დამარცხება უფრო დიდი ანგარიშით და მეორე წრეში გასვლა.

პრაღაში გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შემადგენლობა მატჩის წინ. მასში ვხედავთ ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილეს ცენტრფორვარდ კადრაბას გარდა. იგი უნდა შეცვალოს ახალგაზრდა კუჩერამ. რაც შეეხება გერმანელებს, ისინი იმედგატეხილი როდი ჩადიან პრაღაში. მათი მთავარი ძალაა მაღალი საბრძოლო თვისებები და სწრაფი ტემპი, რამაც ერთხელ უკვე მიაყენა უსიამოვნება ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. გერმანელებს მატჩისათვის ამზადებდა ცნობილი უნგრელი მწვრთნელი კ. შოოში.

მეტად ბუნდოვანია იუგოსლავიის ნაკრების მდგომარეობა, რომელიც ბრიუსელში თამაშობს ბელგიის ნაკრებთან. პირველი შეხვედრა ბელგრადში იუგოსლაველებმა მოიგეს მხოლოდ მინიმალური უპირატესობით (3:2), ამასთან მათი უძლიერესი მცველი დურკოვიჩი არმიაშია გაწვეული და ერთი წლით გამოეთიშა ნაკრებს. იუგოსლაველთა განთქმული ცენტრფორვარდი მ. მილუტინოვიჩი დღეისათვის სამყაროს ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატია, მაგრამ თავისი ქვეყნის გუნდს უკვე კარგა ხანია გამოეთიშა და საფრანგეთში გადაბარგდა, ხოლო შეკულარაცი დისკვალიფიცირებულია. იუგოსლაველები მთავარ იმედებს ამყარებენ ორ ცენტრფორვარდზე ზაგრების „დინამოდან". ერთი მათგანია კარგად ცნობილი ჟერკოვიჩი, მეორე კი ახალგაზრდა ზამბატა განთქმული თავისი „სნაიპერული" თვისებებით. ბელგიელები იმედოვნებენ, რომ დიდი შესაძლებლობა აქვთ აილონ რევანში. მაშინ ყველაფერი ბურთების შეფარდებაზე იქნება დამოკიდებული.

სამაგიეროდ, ყველაფერი ნათელია იტალიელთა და თურქების მატჩში, რომელიც სტამბოლში უნდა გაიმართოს. თურქებმა, რომლებმაც ფლორენციაში წააგეს ანგარიშით 0:6, უკვე „ხელი ჩაიქნიეს" თასის გათამაშებაზე. იტალიის ნაკრები თასის გათამაშების პრეტენდენტია.



**სურათზე:** ამერიკელი ნ. შემანსკი, რომელმაც მოსკოვის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა მძიმე წონაში.

საკდესის ფოტოქრონიკა.



**იტალიის** ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდმა მიიღო უფლება ითამაშოს უეფა-ს ფინალურ ტურნირში იუნიორთათვის. იტალიელებმა ესპანეთის ნაკრებთან პირველი მატჩი დაამთავრეს ფრედ — 2:2, ხოლო მეორე მოიგეს ანგარიშით 3:2.

**ოლიმპიური** ტურნირით გათვალისწინებული შესარჩევი შეხვედრები სამხრეთ ამერიკის ზონაში გაიმართება პერუში. მთელი გათამაშება ჩატარდება ერთი კვირის მანძილზე.

**შედგა** კიდევ ერთი მატჩი ევროპის თასზე ფეხბურთში, რომელმაც გამოავლინა გათამაშების მეორე წრის მონაწილე. ესაა უნგრეთის ნაკრები.

უნგრელებს პირველი შეხვედრა საკუთარ მინდორზე მოგებული ჰქონდათ უელსის გუნდთან ანგარიშით 3:1. განმეორებითი შეხვედრა კარდიფში დამთავრდა ფრედ — 1:1. უნგრეთის ნაკრებმა 4 შესაძლებლიდან დააგროვა 3 ქულა და გავიდა გათამაშების შემდგომ ეტაპში.

**უეფა**-ს იუნიორთა ტურნირში ერთ ჯგუფში იყვნენ მოხვედრილი ჩრდილოეთ ირლანდიისა და ირლანდიის გუნდები. ორ მატჩში უპირატესობა წილად ხვდათ ჩრდ. ირლანდიის ფეხბურთელებს (1:1 და 3:2).

## დუბლიორთა მატჩი

გუშინ, „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს ოსტატ ფეხბურთელთა დუბლშემადგენლობათა მატჩი, რომელიც დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 1:0.

# ექსპორტი, იმპორტი

თვითეული საფეხბურთო კლუბისათვის, იქნება ეს პროფესიული თუ სამოყვარულო, რა თქმა უნდა, უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს რაც შეიძლება უკეთესი ადგილი დაიკავოს თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან თვით სპორტისა და სპორტული შეჯიბრების არსი ტექნიკური მაჩვენებლების ზრდაში მდგომარეობს. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა, რომელთაგან მდიდარი პროფესიული კლუბების მეპატრონეები ირჩევენ მხოლოდ ერთს: დამზადებული „ვარსკვლავების" ყიდვას „მდინარის გაღმიდან", სხვა კლუბებიდან ან სხვა ქვეყნებიდან. მართალია, ეს კომერციული ოპერაცია საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ ამგვარი ალებმიცემობის საბოლოო ბალანსი მაინც მომგებიანია, ვინაიდან გულშემატკივართა ძირითადი მასა მხოლოდ მოგებულ მატჩებზე დადის, მოთამაშეების სანახავად მაყურებელი დაუზარებლად დგას სალაროებთან გაჭიმული გრძელი კუდის ბოლოში. როგორც კი შემცირდება მოგებათა რაოდენობა, მის პროპორციულად მოიკლებს მაყურებელთა რიცხვი და მასთან ერთად შემოსავალიც.

ამიტომ კლუბების ხელმძღვანელები არ ერიდებიან არაფერს, თუ კი სადმე გამოჩნდა „ოქროს ფეხები". ფული? რამდენიც გნებავთ! ოღონდ ფეხბურთელი ღირდეს სამისოდ.

საფეხბურთო იმპორტის კლასიკური მაგალითია ცნობილი ესპანური კლუბი „რეალ-მადრიდი" და მისი მფლობელი მილიონერი ს. ბარნაბეუ, რომელმაც პირველმა მისცა ესოდენ დიდი მასშტაბები ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვას. სწორედ მას ეკუთვნის გახმაურებული აფორიზმი: „რა ღირს პელე. ასწონეთ. ზუსტად მისი წონა ოქროს ვიხდი". მართალია, ს. ბარნაბეუს და მის „რეალს" ამ ბოლო ხანებში ცუდად წაუვიდათ საქმე, მაგრამ მილიონერს გადაწყვეტილი აქვს ოქროს ახალი ულუფა გაიღოს და მალე კვლავ ფეხზე დააყენოს თავისი მობერებული გუნდი, რომელსაც ოდესღაც ბადალი არა ჰყავდა ევროპაში. ნაყიდი ფეხები, ეს რეკლამაა, რეკლამა კი — ფული.

მართალია, ესპანეთის საფეხბურთო წრეებში ბევრნი კატეგორიული წინააღმდეგი არიან მოთამაშეთა იმპორტისა. მათ კარგად ესმით, რომ დაქირავებული „ვარსკვლავების" სისტემატური მონაწილეობა საკუთარ ჩემპიონატებში ალარიბებს და ამუხრუჭებს ეროვნულ ფეხბურთს, რომ ადგილობრივ კადრებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს აღარ რჩებათ ადგილი ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ასეთ პატრიოტებს კეთილი სურვილების გამოთქმის გარდა სხვა არაფერი იარაღი არა აქვთ ებრძოლონ საფეხბურთო ბაზარს, მარტოდ მარტო კეთილი სურვილი კი ერთობ ჩლუნგი იარაღია ს. ბარნაბეუსა და სხვათა მილიონების წინააღმდეგ.

საფრანგეთში, მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციამ გამოიტანა დადგენილება უცხოელ ფეხბურთელთა მიწვევის აკრძალვაზე, მაგრამ ამ ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე ორივე ჯგუფის გუნდებში ჯერ მაინც ორმოცამდე მომთაბარე ფეხბურთელი თამაშობს. 5 იუგოსლაველი, 10 არგენტინელი, 2 ურუგვაელი, 2 შვეიცარელი, 3 გერმანელი და ა. შ. მაროკოელებს ხომ თვლა არა აქვს.

ანალოგიური ზომების მიღებას აპირებენ იტალიაშიც, მაგრამ პირველ ჯგუფში არ არის არც ერთი გუნდი, რომლის შემადგენლობაში არ თამაშობდეს რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი.

ყველაზე ნაკლებად სარგებლობენ დაქირავებული მოთამაშეებით ინგლისში, მაგრამ აქაც მრავლად ნახავთ შოტლანდიელებს, უელსელებს. ამას ინგლისელები „შინაურ სისხს" უწოდებენ.

ესპანეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის ფედერაციებს დაწესებული აქვთ ასეთი კანონი: არც ერთ კლუბს არა აქვს უფლება მინდორზე გამოიყვანოს ორზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი, მექსიკაში ეს ლიმიტი ვრცელდება ოთხ მოთამაშეზე, ხოლო კოლუმბიაში აკრძალვას მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს, ვინაიდან აქ მატჩში მონაწილეობა შეუძლია 8 „იმპორტულ" ფეხბურთელს. მაგრამ არის ქვეყნები, სადაც ფეხბურთელთა მოწვევის რიცხვი არაა ლიმიტირებული. ასეთებია გფრ, ბელგია, შვეიცარია, არგენტინა, კანადა, ჩილი, ავსტრალია.

განსაკუთრებით მაღალი ფასი აქვთ საერთაშორისო ბაზარზე ბრაზილიელ და არგენტინელ ფეხბურთელებს, რომლებსაც სისტემატურად ყიდულობენ იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის კლუბები. არგენტინიდან, მაგალითად ბოლო 10 წლის მანძილზე გაიყიდა 224 ფეხბურთელი, რომელთა სანაცვლოდ გაღებულ იქნა კოლოსალური თანხა — 10 მილიონი დოლარი.

ს. ციციშვილი

## ქადრაკის ტერმინოლოგიით

ნახ. ჭ. ჭანელიძისა.



დებიუტი... ენდშპილი... ქიში... შამათი...

რედაქტორი ი. უგულავა.

**ველინგტონი.** მსოფლიო რეკორდსმენმა პ. სნელმა ახალ ზელანდიაში ერთ-ერთ შეჯიბრზე 800 იარდზე რბენაში კარგი შედეგი—1 წ. და 51,0 წამი აჩვენა. იგი ამის შემდეგ ექიმის მოთხოვნით ორი თვის განმავლობაში აღარ გამოსულა ბილიკზე. პ. სნელი ამჟამად ემზადება მძლეოსანთა დიდი შეჯიბრებისათვის, რომელიც მაისში კალიფორნიაში გაიმართება. წვრთნის დროს იგი კვირაში საშუალოდ 160 კილომეტრს გარბის.

* * *

**მელბურნი.** შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია ახალგაზრდა ავსტრალიელი სპორტსმენი ა. სნიზველი. მელბურნში გამართულ შეჯიბრზე მან 2.16,5 მეტრი სიმაღლე დაძლია და ავსტრალიის რეკორდი დაამყარა.

აი, ყველა დროის სიმაღლეზე მხტომელთა საუკეთესო ათეული:




1. ვ. ბრუმელი (საბჭოთა კავშირი) — 2.27 (1962 წ.), 2. ჯ. თომასი (აშშ) — 2.22,9 (1960 წ.), 3. ნი ჩიჩინი (ჩინეთი) — 2.17 (1962 წ.), 4. ჯ. ფაუსტი (აშშ) — 2.16,5 (1962 წ.), 5. ა. სნიზველი (ავსტრალია) — 2.16,5 (1963 წ.), 6. ი. სტეპანოვი (საბჭოთა კავშირი) — 2.16,2 (1957 წ.), 7. რ. შავლაყაძე (საბჭოთა კავშირი) — 2.16 (1960 წ.), 8. ვ. ბოლშოვი (საბჭოთა კავშირი) — 2.16 (1961 წ.), 9. ს. პეტერსონი (შვეცია) — 2.15 (1962 წ.), 10. ჩ. დიუმასი (აშშ) — 2.15 (1956 წ.).

## ხვალ!

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) გაიმართება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებისა და საქართველოს სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციის ბიუროს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ო. ლორთქიფანიძე — „რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართველი საზოგადოებრიობა", ლექტორი ი. სალარიძე—„ს. ა. ესენინის შემოქმედება".

დასაწყისი 17 ს. 30 წ.




**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. **26 კომ. სახ. რაიონი.** „ისანი" (თბილისი)-„გურია" (ლანჩხუთი), დას. 11 საათზე. სასოფლო-სამეურნეო ინსტ. (თბილისი)-„მერცხალი" (მახარაძე), დას. 13 საათზე. **სკა-ს სტადიონი.** „გვირაბმშენი" (თბილისი)-„განთიადი" (ბათუმი), დას. 12 საათზე. **მაუდ-კამვოლის სტადიონი.** ფიზ. ინსტიტუტი (თბილისი)-„შუქურა" (ქობულეთი), დას. 12 საათზე. ამხანაგური მატჩი **„ბურევესტნიკის" სტადიონი.** „დინამო" (თბილისი)-ცსკა. ძირითადი შემადგენლობანი, დას. 15 ს.

**ჭიდაობა.** **სპორტის სასახლე.** საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, დას. 19 ს.

**ტანვარჯიში.** ბავშვთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლა (პეტრიაშვილის ქ. № 7) საქართველოს მოზარდ ტანმოვარჯიშეთა პირადი პირველობა, დას. 11 ს.

**მძლეოსნური კროსი.** იპოდრომი. დას. 11 ს.

**მოტოკროსი.** ღელისის მიდამოებში. დას. 12 ს.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00991